

რექტორი, პროფესორი



მარინა ფირცხალავა

**აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის პროდუქტიულობის და ხარისხის შეფასების სისტემა**

1. უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობა ფასდება წელიწადში ერთხელ, დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.
2. აფილირებული აკადემიური პერსონალი ვალდებულია სასწავლო წლის ბოლოს წარმოადგინოს ანგარიში სამეცნიერო აქტივობის შესახებ, დანართის შესაბამისად.
3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობა ფასდება ცხრილში მოცემული ქულებით, თითოეული კრიტერიუმის შესაბამისად. უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალის მოტივაციისათვის, სამეცნიერო საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის დგინდება წახალისების სისტემა:
  - ა) 71 და მეტი ქულა - გაიცემა პრემია 1500 ლარი
  - ბ) 41-70 ქულა - გაიცემა პრემია 1000 ლარი
  - დ) 20-40 ქულა - გაიცემა პრემია 500 ლარი
4. აფილირებული აკადემიური პერსონალის წლიური სამეცნიერო აქტივობის შესახებ ანგარიშს ამზადებს რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში და წარუდგენს აკადემიურ საბჭოს განსახილველად. წარმოდგენილი ანგარიშის საფუძველზე აკადემიური საბჭო იღებს გადაწყვეტილებას პრემიის გაცემის შესახებ.
5. აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობის შეფასების კრიტერიუმები:

აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის პროდუქტიულობის და ხარისხის შეფასების კრიტერიუმები		ქულა
1	გამოცემული სახელმძღვანელოს ავტორი/თანაავტორი	10
2	გამოქვეყნებული მონოგრაფიის ავტორი/თანაავტორი	10
3	სტატიის გამოქვეყნება იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში	10
4	პუბლიკაციები რეფერირებად (peer-reviewed) და საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალებში/საერთაშორისო კრებულებში (ელექტრონული ჟურნალების/კრებულების ჩათვლით)	5

5	მოხსენება კონფერენციაზე/სიმპოზიუმზე (საქართველოში)	5
6	მოხსენება საერთაშორისო კონფერენციაზე/სიმპოზიუმზე (საზღვარგარეთ)	7
7	სამეცნიერო (საგამომცემლო/სხვა კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული) გრანტის მოპოვება (20 000 ლარამდე)	10
8	სამეცნიერო-კვლევითი გრანტის მოპოვება (20 000 ლარზე მეტი)	15
9	შიდა კვლევით პროექტზე დაფინანსების მოპოვება	5
10	საერთაშორისო მობილობა კვლევითი მიმართულებით	7
11	სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა სამეცნიერო ხელმძღვანელის სტატუსით	5
12	სამეცნიერო კონფერენციაში გამარჯვებული სტუდენტის ხელმძღვანელობა	5
13	სამეცნიერო კონფერენციაში სტუდენტის ხელმძღვანელობა	3
14	სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა	3

6. აფილირებული აკადემიური პერსონალი ვალდებულია განახორციელოს სამეცნიერო აქტივობები და ყოველწლიურად დააგროვოს განსაზღვრული მინიმალურ ქულათა რაოდენობა - 8 ქულა. ერთი წლის განმავლობაში სამეცნიერო აქტივობების შეუსრულებლობის შემთხვევაში პერსონალს ეძლევა ვალდებულების შესრულების რეკომენდაცია მომდევნო სასწავლო წლისთვის.

7. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს წელიწადში ერთხელ დაუფინანსოს აფილირებულ აკადემიურ პერსონალს: საერთაშორისო აკრედიტებულ კონფერენციაში მონაწილეობა (მომხსენებლის სტატუსით), სტატიის გამოქვეყნება, სახელმძღვანელოს ბეჭდვა, ტრენინგების ჩატარება.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საერთაშორისო რეცენზირებად, რეფერირებად სამეცნიერო შრომათა კრებულში (მედიცინის და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები. ISSN 1512-4169) აფილირებული აკადემიური პერსონალის სტატიის განთავსებას უფასოდ. პუბლიკაციასთან დაკავშირებული ხარჯი ფინანსდება უნივერსიტეტის მიერ.

წელიწადში ორჯერ ჩატარებული სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილე აფილირებული აკადემიური პერსონალის კვლევის მასალები იბეჭდება უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებულში.



დანართი

სახელი, გვარი :

აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის პროდუქტიულობის და ხარისხის შეფასების კრიტერიუმები		განხორციელებული აქტივობის აღწერა (შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია)
1	გამოცემული სახელმძღვანელოს ავტორი/თანაავტორი	
2	გამოქვეყნებული მონოგრაფიის ავტორი/თანაავტორი	
3	სტატიის გამოქვეყნება იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში	
4	პუბლიკაციები რეფერირებად (peer-reviewed) და საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალებში/საერთაშორისო კრებულებში (ელექტრონული ჟურნალების/კრებულების ჩათვლით)	
5	მოხსენება კონფერენციაზე/სიმპოზიუმზე (საქართველოში)	
6	მოხსენება საერთაშორისო კონფერენციაზე/სიმპოზიუმზე (საზღვარგარეთ)	
7	სამეცნიერო (საგამომცემლო/სხვა კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული) გრანტის მოპოვება (20 000 ლარამდე)	
8	სამეცნიერო-კვლევითი გრანტის მოპოვება (20 000 ლარზე მეტი)	
9	შიდა კვლევით პროექტზე დაფინანსების მოპოვება	
10	საერთაშორისო მობილობა კვლევითი მიმართულებით	
11	სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა სამეცნიერო ხელმძღვანელის სტატუსით	
12	სამეცნიერო კონფერენციაში გამარჯვებული სტუდენტის ხელმძღვანელობა	
13	სამეცნიერო კონფერენციაში სტუდენტის ხელმძღვანელობა	
14	სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა	